ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4405009

ნომერი: AR1664206

თარიღი : 02.03.2019

გაცემის თარიღი : 07.03.2019

გაცნობის თარიღი : 07.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ორხევის სამრეწველო ზონა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გოდერძიშვილი პ/ნ 01010013454
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 211 კორ. 2 ბ. 15

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 2 მარტის AR1664206 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ორხევის სამრეწველო ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.19.17.001.060) საწყობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
იმისათვის, რომ, არქიტექტურის სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა ფუნქციური დანიშნულების შესაბამის ველში დააზუსტოთ საწყობის კონკრეტული ფუნქციური დანიშნულება.
ამასთან, მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გასავლელად აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს საინფორმაციო დაფა – რომელიც განთავსებული უნდა იქნეს რეალურ გარემოში თვალსაჩინო ადგილას.
საინფორმაციო დაფა – (განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), რეალურ გარემოში თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:
ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა.

საჭიროა საინფორმაციო დაფაზე სრულად მიუთითოთ მხოლოდ აღნიშნული მონაცემები, საინფორმაციო დაფა არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დამკვეთისა და სემსრულებლის შესახებ და მითითებული უნდა იყოს განხილვის ვადები, შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა. ასევე, ბანერზე არასწორად არის მითითებული გამცემი ორგანო და #5 პუნქტი.
საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი; საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ) აღნიშნული დოკუმენტი უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის შესაბამის დახარვეზებულ ველში (საინფორმაციო დაფა-ბანერი*).

- საჭიროა, განმარტოთ თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმაზე მითითებული წარწერა : „ტოპო ნახაზი შესრულებულია დამკვეთის მითითებით“.

აქვე გაცნობებთ, მიწის ნაკვეთი მოქცეულია ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონის შეზღუდვის ზონაში, სადაც ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს აეროდრომის ექსპლუატანტთან შპს „ტავ ურბან საქართველოსთან“. ვინაიდან, თქვენ მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით საპროექტო ობიექტის სიმაღლე აღემატება დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლის მნიშვნელობას, საჭიროა წარმოადგინოთ შპს „ტავ ურბან საქართველოს“ თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2019 წლის 2 მარტის AR1664206 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.